პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 19 აპრილი, 1947 წ. № 80 (7864). ფასი 20 კაპ.

„სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამამ, რომელიც მოცემულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებში, უკვე ჰპოვა თავისი კონკრეტული განხორციელება საქართველოს რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმებში. მოწინავე ბრიგადები და რგოლები გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობენ. ეს მოწმობს დიფერენცირებულ მიდგომას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისადმი, მოწმობს დიდსა და მოფიქრებულ მუშაობას, რასაც ქართველი ბოლშევიკები ეწევიან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში“.

„პრავდა“

პირნათლად შევასრულოთ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ქართველმა ხალხმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა ჩვენს ქვეყანაში პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დიდად აღაფრთოვანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ „ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ“. ეს ბრძანებულება მძლავრი სტიმული გახდა სოფლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის უხვი მოსავლის მოსაყვანად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავზე შესასრულებლად.

ამ საყოველთაო სახალხო პატრიოტული აღმავლობის მაჩვენებელია საქართველოს სსრ კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისა და სპეციალისტების წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ეს წერილი გამოხატავს კოლმეურნე გლეხობის მზადყოფნას მთელი ენერგიით იბრძოლოს უხვი, სტალინური მოსავლის მოსაყვანად. ეს წერილი გამოხატავს ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი, ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი. ამ წერილში საქართველოს მშრომელებმა ბელადს შეჰფიცეს, რომ შეუპოვრად იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს ყველა მშრომელი, ბოლშევიკურ პარტიას, ამხანაგ სტალინს უმადლის თავის ყველა გამარჯვებას. თავიანთ წერილში მშრომელები მხურვალე მადლობას გამოსთქვამენ საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მუდმივი მამობრივი მზრუნველობის გამო. წერილში ნათქვამია: „ყველაფერი, რითაც დამსახურებულად ამაყობს ქართველი ხალხი: შავი ზღვის სანაპიროს ჩაისა და ციტრუსების აყვავებული პლანტაციებიდან ქართლ-კახეთის ვრცელ ბაღ-ვენახებამდე, განუყრელად დაკავშირებულია თქვენს ძვირფას სახელთან, შექმნილია თქვენი დახმარებისა და ყურადღების მეოხებით“.

ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით წინათ ჩამორჩენილი ჩვენი რესპუბლიკა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. უმაგალითოდ განვითარდა კულტურა, აყვავდა ხელოვნება და ლიტერატურა, ამაღლდა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. საქართველოს მშრომელებმა ამას მიაღწიეს საბჭოთა ხალხების ერთიან, ურყევ ოჯახში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოლშევიკებს, მტკიცედ დანერგა აქ სტალინური მუშაობის სტილი და მშრომელები აღზარდა დიდი ბელადისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის გეგმები. მაგრამ კოლმეურნეებს ეს წარმატებანი არ აკმაყოფილებს. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის. კოლმეურნეები სწერენ ბელადს: „კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჯერ კიდევ მთლიანად გამოყენებული არ არის ჩვენს კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული დიდი შესაძლებლობანი და რეზერვები. პირობას გაძლევთ თქვენ, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ყოველწლიურად მოვიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი და მაღალი მოსავალი, ვადამდე შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე“.

ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი წერილით ჩვენმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს: 1947 წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმას 1.000 ტონით გადააჭარბონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 31.000 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ჩვენს ქვეყანას მისცენ 600 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, აქედან 40 მილიონი ლიმონი და 20 მილიონი ფორთოხალი, გააშენონ 1.445 ჰექტარი ხეხილი, 20 პროცენტით გაადიდონ ვენახების მოსავლიანობა 1946 წელთან შედარებით, უზრუნველჰყონ საგაზაფხულო თესვის დროულად დამთავრება, საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესების გულმოდგინე მოვლა, უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება დაამთავრონ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში, რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170 ცენტნერისა, და სახელმწიფოს ჩააბარონ ნაცვლად 11 ათასი ტონისა, 11.500 ტონა თამბაქოს ნედლეული.

დიდი ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მოწინავე ბრიგადებმა და რგოლებმა.

დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვა გვავალებს მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად, საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა კონკრეტულად, ოპერატიულად უხელმძღვანელონ სოფლად სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი 1947 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. სოფლის კომუნისტების, კომკავშირელების ვალია იყვნენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა შეუდგა ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის შესრულებას. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წერილებს, რომლებშიც ისინი მოგვითხრობენ, თუ რა მუშაობას ეწევიან სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის.

უეჭველია, საქართველოს კოლმეურნე გლეხობა პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მთელ ძალებს მოახმარს სოფლის მეურნეობის აყვავების სტალინური პროგრამის განხორციელებას.

დიდება პარტიისა და ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს!

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იუგოსლავიის მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს

ბელგრადი

სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო ვულოცავ და მეგობრულად მივესალმები იუგოსლავიის ხალხებს და პირადად თქვენ.

სულით და გულით ვისურვებ ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, იუგოსლავიის ბედნიერებასა და აყვავებას.

ი. სტალინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

ნება მიბოძეთ სულით და გულით მოგილოცოთ სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მეორე წლისთავი და მადლობა გიძღვნათ ჩვენი საარსებო ინტერესების გაგების და იმ დიდი დახმარებისათვის, რასაც დიდი საბჭოთა კავშირის ხალხები უწევენ იუგოსლავიის ხალხებს.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, იუგოსლავიის მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო.

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

I

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქციის 1947 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 102,6 პროცენტით. 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 22,8 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — 104,3 პროცენტით. 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საერთო პროდუქცია გადიდდა 35,1 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა — 16,0 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების მიხედვით გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად (პროცენტობით):

	1947 წლის პირველი კვარტალის გეგმა	1946 წლის პირველი კვარტალის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით
საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა		
ტყიბულქვანახშირი	75,7	114,8
ტყვარჩელქვანახშირი	92,9	138,4
ახალციხქვანახშირი	71,5	162,6
ჭიათურის მარგანეცი	105,3	104,8
საქნავთი	94,7	88,4
სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხანა	109,1	150,0
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	82,6	124,0
სპილენძსაგლინავი ქარხანა	137,2	115,3
საქენერგო	101,6	106,0
ლიტოპონის ქარხანა	111,6	215,5
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	105,2	163,2
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	108,4	135,6
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	101,7	124,0
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	66,6	95,9
ქარხანა „ცენტროლიტი“	109,4	120,0
კასპის ცემენტის ქარხანა	105,3	204,0
შიფერის ქარხანა	134,3	645,7
ენგურის ქაღალდის კომბინატი	90,9	176,9
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	103,0	176,7
ტრიკოტაჟის კომბინატი	93,8	111,2
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	96,9	109,9
აგარის შაქრის ქარხანა	153,3	240,2
მარგარინის ქარხანა	54,6	184,5
ქუთაისის საკონსერვო ქარხანა	233,4	148,4
ბათუმის ციტრუსოვანთა კომბინატი	122,6	99,1
შამპანური ღვინოების კომბინატი	75,4	84,9
ფარმქიმქარხანა	115,7	125,9
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა		
კვების მრეწველობის სამინისტრო	101,1	73,9
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	105,2	117,6
მათ შორის:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი“	125,3	107,1
სამტრესტი	102,0	123,9
საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი	107,9	91,9
საქართველოს მინერალური წყლები	78,3	145,8
საქთამბაქო	102,1	123,4
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	82,8	88,8
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	107,8	169,7
მათ შორის:		
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1	114,6	166,3
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 2	117,4	155,7
ბათუმის ტყავეულის ქარხანა № 3	106,2	155,3
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1	116,7	131,4
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2	81,3	130,5
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 4	90,0	245,8
სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა	97,2	131,4
ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი	127,4	290,1
სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი	105,6	197,9
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1	115,0	153,1
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2	104,9	178,9
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა № 4	113,6	194,4
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5	102,5	344,8
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	106,5	213,8
საგალანტერიო ფაბრიკა	104,3	132,6
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	107,4	121,9
მათ შორის:		
თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“	111,9	133,7
ქუთაისის მაუდის ფაბრიკა	107,6	113,9
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	108,0	120,4
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	101,8	122,2
ბამბის ფაბრიკა	111,7	121,0
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	106,2	111,1
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	100,6	107,9
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	105,2	133,0
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა	108,5	108,4
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	103,6	108,0
მათ შორის:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	78,4	96,3
ბათუმის ფანერის ქარხანა	101,4	140,8
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	106,1	67,5
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	103,9	150,5
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	115,5	92,0
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	103,3	180,4
მათ შორის:		
საბურთალოს აგურის ქარხანა	92,0	170,8
საქტეშენიტი (კურსების გრანიტის წარმოება)	156,0	780,0
თეძამის ტუფის წარმოება	71,7	—
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შრომა“	64,1	985,1
სურამის კირის ქარხანა	150,3	200,4
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	102,0	120,0
მათ შორის:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	106,1	112,7

(დასასრული მე-2 გვერდზე)

დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესრულება მთელი ქართველი ხალხის ღირსებისა და სახელის საქმეა

ნაკისრ ვალდებულებას შევასრულებ

დიდი სტალინისადმი მიმართული წერილი გვირაზმავს უხვი მოსავლის მიღებისათვის სალაშქროდ. საქართველოს კოლმეურნეებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. მათ შორის მეც ვარ. პირობა მივეცი ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვან 1.100 ცენტნერ შაქრის ჭარხალს. ახალი ძალით შევუდექი ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის საწინდარია შრომის სწორად მოწესრიგება რგოლში და აგროწესების დაცვა. საჭარხლე ნაკვეთისათვის მქონდა მზრალად მოხნული ნიადაგი. დღენახევარში დავამთავრე თესვა. დათესვისთანავე ნიადაგი დავტკეპნე. რადგან გვალვა იყო, დათესვიდან მეექვსე დღეს მოვრწყე. ჭარხალი კარგად აღმოცენდა. უკვე შევუდექი ნიადაგის გაფხვიერებას. ამ დღეებში დავიწყებ გამოხშირვას.

შარშან ერთ ჰექტარზე მოყვანილი ჭარხლით ქვეყანას მივეცი 14.000 კილოგრამი შაქარი, წელს მივცემ 28.000 კილოგრამს. რგოლის წევრთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ყველა დაინტერესებულია უხვი მოსავლის მიღებით. ჩემი რგოლის გამოცდილების საფუძველზე მუშაობენ მერგოლურები ა. კაციაშვილი, მ. დეისაძე, პ. ხუციშვილი, სოფელ ნიაბიდან ე. დავითლიძე და სხვები. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიე მერგოლური ა. კაციაშვილი.

სოფიო მარიდაშვილი

სოციალისტური შრომის გმირი, კასპის რაიონის კოლმეურნეობა „მნათობის“ მერგოლური

ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის

ბელადისათვის მიცემული პირობა ახალი საგმირო შრომისათვის აღაფრთოვანებს ყოველ ჩვენგანს. იგი უშრეტ ენერგიასა და ძალას გვმატებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან ჩვენ ის დასკვნა გავაკეთეთ, რომ ჯერ კიდევ არ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამ დადგენილების საფუძველზე ჩვენ გადავსინჯეთ განვლილი მუშაობა, შევიმუშავეთ ახალი ნორმები, მივიღეთ ზომები შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების აღმოფხვრისათვის.

ჩვენი კოლმეურნეები ჩაებნენ უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში და ხალხთა საყვარელი ბელადის წინაშე ვალდებულება იკისრეს 34 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 80 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—120 ცენტნერი.

მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირმა სტახანოველმა მარიამ სულაქველიძემ იკისრა მისი ბრიგადისათვის მიჩენილი 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 90 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 1 ჰექტარზე—130 ცენტნერი.

რგოლის ხელმძღვანელმა ელენე ჭულუხაძემ რგოლის სახელით იკისრა მის რგოლზე მიმაგრებული ოთხი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 90 ცენტნერი ყურძენი.

მოსავლიანობის გადიდების საუკეთესო ღონისძიებას წარმოადგენს ცალკეული ნაკვეთების მიჩენა კოლმეურნეებისათვის. ეს დაამტკიცა გასული წლის პრაქტიკამ. შარშან სტახანოვური ნაკვეთები ცოტა რაოდენობით გვქონდა, სულ 4 ჰექტარი, მოსავალი კი სასახელო მივიღეთ. წელს სტახანოვური ნაკვეთები 34 ჰექტარამდე ავიყვანეთ. ცალკე ნაკვეთი აღებული აქვს ყოველ ბრიგადას, რგოლს, კოლმეურნეს. მათ შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ყოველი მათგანი თავის ნაკვეთს უვლის, როგორც საკუთარ ბაღს, დაინტერესებულია მიიღოს კარგი მოსავალი, აჯობოს თავის ამხანაგს, პირნათლად გაამართლოს ბელადისადმი მიცემული პირობა.

საუკეთესოდ აქვთ მოვლილი თავიანთი სტახანოვური ნაკვეთები კოლმეურნეებს სოკრატ ბურჯანაძეს, ვალოდია სულაქველიძეს, ტარასი კაკაურიძეს, მარიამ სულაქველიძეს, ელენე ჭულუხაძეს, ილია ხიჯაკაძეს და სხვებს.

იწყება ვენახში გაცხარებული მუშაობის დღეები. ეს არის ვენახის მეორე თოხნა, ვაზის წამლობა, გოგირდის შეფრქვევა, ტოტების სარზე აკვრა და სხვ. ამ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარება სწყვეტს ყურძნის მაღალი მოსავლის ბედს. აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად გამოვიყენებთ კოლმეურნეობის ყველა ძალებს, უზრუნველვყოფთ წელს ყურძნის უხვ მოსავალს, სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

ბელადისათვის მიცემული სიტყვა სერიოზული სიტყვაა. იგი საქმით იქნება განაღდებული.

აკაკი ლიბრაძე

ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ვასახელებთ სამშობლოს

ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავეა საგარეჯოს რაიონში. 8 წელია, რაც ვხელმძღვანელობ მეხუთე ბრიგადის პირველ რგოლს. რგოლში მტკიცეა შრომის დისციპლინა, ყველა ენერგიულად მუშაობს, სიმინდის უხვი მოსავალი მოგვყავს. სტალინური პრემიის ლაურეატის ჩოქოლი ქეჩახიას გამოცდილების დანერგვით ჩვენმა რგოლმა შარშან ურწყავი მიწის 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67 ფუთისა მიიღო 210 ფუთი სიმინდი.

მაგრამ ჩვენი რგოლი მოპოვებული მიღწევებით არ კმაყოფილდება. დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ვიკისრე 5 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანო 420 ფუთი სიმინდი.

სიმინდი მოკლე ვადებში დავთესეთ და დროულად გავთოხნით. რგოლში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. თ. გძელაშვილი, შ. და კ. ოკინაშვილები, ნ. როსტომაშვილი, ა. ივანიშვილი, ა. გძელაშვილი, ქ. ოკინაშვილი, გ. ივანიშვილი, ა. და ქ. ოკინაშვილები ეჯიბრებიან ერთმანეთს საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. არ დავიშურებთ ძალღონეს ჩვენი მშობლიური, ბრძენი სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად, ვასახელებთ სამშობლოს უხვი მოსავლის მოყვანით.

ეკატერინე გძელიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

(დასასრული)

	1947 წლის პირველ კვარტალის გეგმა	1946 წლის პირველ კვარტალის ფაქტიურ შედეგთან შედარებით %
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	108,7	118,5
ლიფინონის კონსტრუქციათა ქარხანა	101,5	128,7
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა	95,3	110,7
მომთვინიერი ქარხანა	115,4	86,1
საინსტრუმენტო ქარხანა	109,6	156,8
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	104,3	142,6
ცელულოიდის ნაწარმის ფაბრიკა	84,7	92,1
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	106,6	130,4
მათ შორის:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	105,9	130,6
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	116,1	127,4
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა (1926-27 წ. ფასებით)	101,6	111,8
მათ შორის:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	101,4	106,5
ინვალიდთა კოოპერაცია	102,3	132,6

II

1947 წლის პირველ კვარტალში სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეთა ნატურით გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტებით):

	1947 წლის პირველ კვარტალის გეგმა	1946 წლის პირველ კვარტალის ფაქტიურ შედეგთან შედარებით %
ქვანახშირი—სულ	78,3	108,8
მათ შორის:		
ტყვიულის	75,7	114,8
ტყვარჩელის	83,1	98,9
ახალციხის	71,0	162,1
ნავთობი	100,3	88,6
მაზუთი (სტალინის სახელობის ქარხანა)	100,8	167,5
ნავთი	102,1	176,6
დიზელი გუმბრინი	95,1	155,9
მარგანეცის მადანი	102,7	102,5
ელექტროენერგია (საქენერგო)	101,6	106,0
მათ შორის:		
ზაჰესი	119,2	110,5
რიონჰესი	103,7	103,7
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური	86,3	103,7
აწესი	111,4	106,8
დაზგები — სულ	116,3	144,2
მათ შორის:		
ყირიგის სახელობის ქარხანა	112,5	166,7
ქარხანა „დაზგა“	127,5	106,3
ცემენტი	104,8	185,8
შიფერი	130,4	620,8
აგური (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	84,4	149,4
კირი	110,1	128,0
დაბრეხილი მასალა (სატყეო მრეწველობის სამინისტრო)	75,9	78,4
სამასალე მერქნის გამოტანა (სატყეო მრეწველობის სამინისტრო)	74,4	63,8
ასანთი (სატყეო მრეწველობის სამინისტრო)	79,9	165,2
ქაღალდი:		
ენგურის ქაღალდის კომბინატი	92,4	146,4
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	100,8	172,2
შალის ქსოვილი:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	102,0	144,6
სარეწაო კოოპერაცია	130,0	137,5
ბამბეულის ქსოვილი:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	108,0	105,5
სარეწაო კოოპერაცია	103,7	138,3
გრეხილი:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	104,8	111,9
წინდები:		
ტრიკოტაჟკომბინატი	60,6	95,6
ფაბრიკა „სოციალისტური“	87,3	118,2
სარეწაო კოოპერაცია	63,2	246,1
ინვალიდთა კოოპერაცია	50,7	170,3
თეთრეულის ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „სოციალისტური“	77,4	117,1
სარეწაო კოოპერაცია	86,7	325,0
ინვალიდთა კოოპერაცია	73,3	174,1
ზედა ტანსაცმლის ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „სოციალისტური“	98,9	131,5
სარეწაო კოოპერაცია	111,9	142,3
ინვალიდთა კოოპერაცია	90,1	129,9
ფეხსაცმელი:		
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	101,8	168,9
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	100,5	168,0
სარეწაო კოოპერაცია	49,2	76,6
ინვალიდთა კოოპერაცია	53,0	87,5
ქრომის ტყავი (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	105,3	156,8
საწოლები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	80,5	173,8
ბინინო	89,3	239,3
ერბო-კარაქი	205,5	332,4
ხორცი	77,1	82,1
კონსერვი	144,2	115,2
მაკარონის ნაწარმი	97,2	72,6
ფუნთული შაქარი	154,7	246,5
ჩაი მზა აწონილი	116,8	113,8
ყურძნის ღვინო (სამტრესტი)	91,3	120,5
შამპანური ღვინოები	37,0	31,3
ბაპორისა (საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო)	85,7	153,0
სპირტი:		
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	101,1	109,5
სარეწაო კოოპერაცია	104,1	138,6
მეცნიერული ზეთი (ქვების მრეწველობის სამინისტრო)	104,3	131,2

III

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა 1947 წლის პირველი კვარტლის გეგმა სახოჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით შესრულებულია 77,3 პროცენტით, მათ შორის საკავშირო რაქალმფლებრების სამინისტროებსა და უწყებებში—77,1 პროცენტით, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და საწარმოებში—78,8 პროცენტით.

რესპუბლიკაში შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1947 წლის პირველ კვარტალში 1946 წლის პირველი კვარტალის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას გადაჰკარბა 90,3 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში—88,3 პროცენტით და საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში—106,9 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და დიდი მშენებლობების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა 1947 წლის პირველი კვარტლის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტებით):

საკავშირო დაქვემდებარების ობიექტები:

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	45,6
მათ შორის ამიერკავკასიის მეტალურგშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	61,1
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	101,0
მათ შორის № 11 სამშენებლო სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოები	101,1
ჭიათურის მარგანეცი	54,1
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	119,0
ქვაისშენი	85,9
ქუთაისის საშალტო მოწყობილობის მანქანათმშენებელი ქარხანა	79,2
საქართველოს ქვანახშირი—სულ	64,4
მათ შორის საქშახტმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	79,4
საქნავთი	126,2
საქართველოს ნავთის მრეწველობის მასალათა ტრესტი	109,2
საქენერგო	53,9
ხრამჰესი	106,7
სოხუმჰესი	88,0
პლასტმასის ქარხანა	92,8
ლიტოპონის ქარხანა	55,0
ასბის ცემენტის ქარხანა	54,5
ყირიგის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	150,2
შამპანური ღვინოების კომბინატი	56,6
კოლხიდმშენი	100,8
სამეორის სარწყავი სისტემის მშენებლობა	94,2
რკინიგზების მშენებლობა:	
შავი ზღვის რკინიგზა	94,6
ბორჯომ-ვალეს რკინიგზის ხაზი	88,8
ყაჯრეთ-მირზაანის რკინიგზის ხაზი	69,5
ორჯონიკიძესარემონტო ქარხანა	87,6

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საინისტროები და უწყებები:

ქვების მრეწველობის სამინისტრო	94,1
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	64,6
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	43,3
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	65,0
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	96,1
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	66,9
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	88,3
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	42,0
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	49,5
კინემატოგრაფიის სამინისტრო	120,7
განათლების სამინისტრო	48,3
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	51,6
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	102,1
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	35,0
ხელოვნების საქმეთა სამმართველო	82,4
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი	85,9
ბინებისა და სასტუმროების მშენებლობა	85,8
კომეხალური მშენებლობა	101,7
ადმინისტრაციული მშენებლობა	95,1
მთავარი საგზაო სამმართველო	76,0

IV

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1947 წლის 15 აპრილის ცნობებით, საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 82,8 პროცენტით ნაცვლად გასული წლის იმავე თარიღის 58,6 პროცენტისა. საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 46,3 პროცენტით ნაცვლად გასული წლის 20,6 პროცენტისა.

ცალკეული კულტურების მიხედვით გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად (პროცენტებით):

	1947 წ. 15 აპრილისთვის შესრულებული	1946 წ. 15 აპრილისთვის შესრულებული იყო
მარცვლეული და პარკოსანი კულტურები	47,6	18,7
თავთავიანი კულტურები	69,4	42,4
ქარტოფილი	52,4	21,3
ბოსტნეული კულტურები	41,6	28.3
მზესუმზირა	105,9	104,2
შაქრის ჭარხალი	98,3	41,0
მრავალწლიანი ბალახები	53,0	13,9
ერთწლიანი ბალახები	15,2	5,9

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წლიური გეგმა 1947 წლის 10 აპრილისათვის შესრულებულია 24,2 პროცენტით ნაცვლად გასული წლის იმავე თარიღის 13,9 პროცენტისა.

V

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ცნობებით, 1947 წლის პირველ კვარტალში დატვირთვის საშუალო სადღეღამისო გეგმა შესრულებულია 113,8 პროცენტით. ქვანახშირის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 85,6 პროცენტით, მარგანეცის მადნისა—85,1 პროცენტით, ნავთპროდუქტებისა—180,5 პროცენტით. ვაგონების საშუალო სადღეღამისო ბრუნვა 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 8,6 პროცენტით გადიდდა.

VI

საცალო საქონელბრუნვის 1947 წლის პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 98,4 პროცენტით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში—106,9 პროცენტით.

ცალკეული მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად: გლავოსობგასტრონომი—97,1 პროცენტით, კლავოსობუნავერეულმაგი — 100,5, გლავვინეტორგი—102,9, გლავკულინარტორგი—104,3, თბილისკონტორა—92,9, საქკავშორმა—79,4 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა შესრულებულია 109,6 პროცენტით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში—126,6 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ცალკეული ორგანიზაციების მიერ ბრუნვის გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად: გლავოსობრესტორანი — 137,5 პროცენტით, გლავდორრესტორანი—111,3, საზოგადოებრივი კვების თბილისის ტრუსტი—100,9, საქკავორმა—105,0 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში

საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ოქტომბრის ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველნაირად დაეხმარონ და ყოველმხრივ განავითარონ ახალგაზრდობის ინიციატივა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში, მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა ახალგაზრდა მუშამ საბჭოთა ხელისუფლების 30 წლისთავისათვის შესასრულოს 1947 წლის გეგმა.

საკავშირო აღკკ თვითეული წევრის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გეგმის ყოველდღიურად და ყოველთვიურად გადაჭარბებით შესრულების საფუძველზე დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის დაამთავროს წლიური დავალება, პირადი მაგალითით გაიყოლიოს მთელი ახალგაზრდობა.

საკავშირო აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიურად გააცნონ თვითეულ ახალგაზრდა მუშას დღიური დავალებანი და დაზგაგრეგბის გამოძენავმა: უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური აღრიცხვა და ფართო საჯაროობა; სისტემატურად ჩაატარონ მიღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, გაავიცელონ და დანერგონ მოწინავე სტახანოველთა მუშაობის მეთოდები ერთი და იმავე პროფესიისა და სპეციალობის ახალგაზრდა მუშათა და ბრიგადირთა სამაქრო, საქარხნო და საქალაქო თათბირების, კრებებისა და კონფერენციების გზით; ფართოდ გაამეტონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა პრესაში, რადიოში, სბრძოლო ფურცლებსა და „ელვა“ ფურცლებში.

კომკავშირული ორგანიზაციები საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა გაიჩენენ ცალკეული ახალგაზრდა მუშების მიერ გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის მიზეზებში, ადგილზე დახმარება გაუწიონ ახალგაზრდობას კვალიფიკაციის ძალუ შეძენაში, მოაწყონ ინდივიდუალური ან ჯგუფური სტახანოველთა სკოლები, ტექმინიმუმის წრეები.

საკავშირო აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა საკავშირო აღკკ კომიტეტებს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა აღკკ ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა დაიყენონ პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების წინაშე ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ორგანიზაციაში წესრიგის დამყარებასთან, წარმოებაში ეიწრო ადგილების ლიკვიდაციასთან, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, მოწყობილობის უკეთესად გამოყენებასთან, ნედლეულთა, მასალების, ხელსაწყო-იარაღებისა და ელექტროენერგიის მოამარაგების აღეცილებელ ლოსიძიებათა გატარებასთან, რეგულარულად ჩაატარონ მოწყობილობის მდგომარეობის, ელექტროენერგიისა და მასალების ხარჯვის შესამოწმებელი რეიდები და სხვა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააქტივონ მუშობა რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შესაკრებად და დასანერგავად.

საკავშირო აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რჩევა მისცა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კომკავშირულ კომიტეტებს ფართოდ გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების ახალგაზრდა მოწინავეთა წარმატებანი ლენინიძეებანი, მიიკეთონონ მათ კომკავშირის კომიტეტის წევრი ალაბი, ქარხნის კომკავშირული კომიტეტისა და დირექციის წევრი ლრმაბ, წარადგინონ სალენი, სამხარეო, რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის სამაბონ წიგნში შესატანად და საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის სამაბონ სიგელით დასაჯილდოებლად. (საკდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმი

17 აპრილს გაიხსნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმი. პლენუმი გახსნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა. დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოებში საწარმოთა ადმინისტრაციასა და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს შორის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

2. პროფკავშირთა სოლენო, სამხარეო რეკავშლიკური, საგზო, საოქო და ცენტრალური კომიტეტების ანგარიშებისა და არჩევნების ჩატარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. სიდორენკო.

ორი თვის წინათ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს 1947 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა მომზადებისა და დადების წესის შესახებ. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას თან ახლავს მთელი მასობრივი მუშობის დიდი ღონეღონება საწარმოებში. მუშა-მოსამსახურეები აქტიურად განიხილავენ ხელშეკრულებათა პროექტებს და ბევრი ძვირფასი წინადადება შეაქვთ. კრებებზე ფართოდ ჩაიდგა სახალხო მეურნეობა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშობაში არსებული ნაკლოვანებების საკმაოდ კრიტიკა. ეს ხელს უწყობს მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის შემდგომ ზრდას.

კოლექტიური ხელშეკრულებანი უკვე დადებულია სამი ათასზე მეტ საწარმოში. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას.

შემდეგ მომხსენებელმა მრავალი ფაქტი დასასურათა საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობა მშრომელთა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო და კულტურული მოსახურების გეთმოგობესებისათვის. სახნიო მშენებლობის, სოციალური დაზღვევის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა ღონისძიებათათვის გაწეულმა ხარჯებმა 1946 წელს შეადგინეს 86,3 მილიარდი მანეთი, ხოლო 1947 წელს შეადგენენ 122 მილიარდ 800 მილიონ მანეთს. ამოცანა ის არის, რომ, ეს უდიდესი სახსრები რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამინო მშენებლობას. ამხ. სიდორენკომ აღნიშნა, რომ სამინო მშენებლობა ზარაშდილთან შედარებით ერთიორად დიდდება, და სთქვა:

— პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ მოაწყონ ბინების მშენებლობის დარგში ნაკლოვანებებისა შესრულების საზოგადოებრივი შემოწმება და ამ საქმეში ფართო აქტივი ჩაბაან. საჭიროა მიგაღწიოთ იმას, რომ სამინო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ობიექტები, რომლებიც ახლად შენდება და რომლებსაც რემონტს უკეთებენ. საქმესპლოატაციიდ გადაცემულ იქნან საცხოვრო ეკმაზადებულნი—და კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება მხოლოდ დასაწყისია თვითეული პროფკავშირული ორგანიზაციის დიდი მუშობისა, რომელიც მოწოდებულია ურთიერთ ვალდებულებათა დროულად შესრულების საფუძველზე უზრუნველყოს ინსაშრომელი სტანლარტი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულება. კოლექტიური ხელშეკრულება მთელი პროფკავშირული მუშობის საფუძველი უნდა გახდეს.

ამხ. სიდორენკოს მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

(საკდესი).

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი ტომი

სახელმწიფო ინსტიტუტმა „საბჭოთა ენციკლოპედიამ“ დასაბეჭდად მოამზადა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის დამამთავრებელი ტომი—„სსრ კავშირი“.

ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ფ. ნ. პეტროვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ტომი „სსრ კავშირი“ 50 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობის ნაშრომს წარმოადგენს. აქ მოცემულია დაწერილებითი ცნობები ჩვენი ქვეყნის სახელწოდ ყოველ ბინის, მისი ადმინისტრაციული დაყოფის, ეკონომიკის, ბუნებაზე შეაახებ. მრავალი სტატია და ნარკვევი მიძღვნილია სოციალისტური შენებლობისადმი, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხეთწლიანი გეგმისადმი, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებისადმი. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, შრომის ორგანიზაციის, ბეჭდვით სიტყვის საკითხებს. ცალკეული თავები ძოგვიფხრობენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე.

სპეციალური თავები ახასიათებენ მოკავშირე რესპუბლიკებს და ჩვენს ქეეყანაში მოსახლე ხალხებს.

წიგნში ზოთხრობილია ეგრეთვე ჩვენი ქეეყნის ისტორია უძველესი დროიდან დღეკანდლამდე.

ტომს „სსრ კავშირს“ ეწერება 8[illegible] ფილი ნახატი, ფოტოსურათები, ეკუკრაფიული რუკები, ქრონოლოგიური და სტატისტიკური ცხრილები.

*წიგნი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავისთვის გამოვა.

(საკდესი).

სტახანოვური განრიგით მუშაობაზე გადასვლის შემდეგ

ორი საწარმოს გამოცდილება

პრესაში დიდძალი მასალები ქვეყნდება იმის შესახებ, თუ რა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში ვასილ მატროსოვის ინიციატივამ სტახანოვური განრიგით მუშაობაზე გადასვლის დარგში. როგორც ვიცით, თბილისის საწარმოთაგან სტახანოვური განრიგით მუშაობა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დანერგეს დიმიტროვის სახელობის ქარხნის იმ საამქრომ, სადაც უფროსად არის ინჟინერი ვ. ბუთხუზი, და ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკამ.

ამ საწარმოებში სტახანოვური განრიგით მუშაობაზე გადასვლის შემდეგ ერთმა თვემ განვლო. ორივე საწარმოში დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც საჭიროა სხვა საწარმოთა კოლექტივებმაც გაიცნონ და მით ისარგებლონ.

• • •

საამაყო მაჩვენებლები

დიმიტროვის სახელობის ქარხნის იმ საამქროში, სადაც უფროსად ინჟინერი ვ. ბუთხუზია, სტახანოვური განრიგით მუშაობა დაიწყეს მარტის პირველ დეკადაში. აქედან იწყება მკვეთრი გარ-

...

დავალებებს 120 პროცენტზე მეტად ვერ ანაღდებდნენ.

სტახანოვური განრიგით მუშაობამ მკვეთრად გაადიდა არა მარტო წინათ ჩამორჩენილი მუშების, არამედ საუკეთესო სტახანოველების შრომის ნაყოფიერება. საამქროს საუკეთესო ზეინკალი ი. ტიტვინიძე წინა თვეებში გეგმებს 150-180 პროცენტით ასრულებდა, ხოლო მარტში გეგმა 224 პროცენტით გაანაღდა. ხარატი ი. კრივორუჩენკო წინათაც მოწინავე იყო, თვიურ დავალებებს ხშირად 200 პროცენტით ასრულებდა, მარტში კი გეგმა 304 პროცენტით შეასრულა. ასეთი მაგალითები ბევრია.

აპრილის დასაწყისიდან საამქრომ თვიური გეგმის გადამეტებით კვლავ მიიღო ახალი სასწრაფო დავალება, რომელიც მან სულ რამდენიმე კვირაში უნდა შეასრულოს. უახლოეს რამდენიმე დღეში საამქრო დაამთავრებს ამ დავალების შესრულებას, რაც შრომა-

ტევადობის მიხედვით თვიური გეგმის 45 პროცენტს უდრის. ამის პარალელურად წარმატებით სრულდება ჩვეულებრივი საწარმოო დავალებაც.

გაუმჯობესდა ფეხსაცმლის ხარისხი

...

სტახანოვური განრიგით მუშაობის შედეგად ფაბრიკაში მომუშავე გამომჭრელებმა მარტის განმავლობაში 144,3 დეციმეტრი საზედაპირე ტყავი მოიმომჭირნეს.

განვლილი თვის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საუკეთესო შედეგი მოაქვს მოკლევადიან სტახანოვურ სკოლებს, სადაც მუშათა ახალ კადრებს სტახანოვური შრომის მეთოდებს ასწავლიან პრაქტიკულად, შრომითი მაგალითების ჩვენებით. მაგალითად, ნ. ტატუნაშვილს მუშაობის ახალი ხერხები ამხ. ოდიშვილის ბრიგადაში პრაქტიკულად რამდენიმე დღეში შეათვისებინეს და ახლა ეს ახალგაზრდა ქალი სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, არ აცდენს კონვეიერს და იძლევა კარგი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მაგალითები მრავლადაა სხვა ბრიგადებსა და ნაკადებშიც.

დ. ამირანიძე

თბილისის რადიო-სატელეგრაფო ქარხნის სტახანოველი მბურღავი ა. დავლიანიძე დავალებას 180 პროცენტით ასრულებს. სურათზე: სტახანოველი ა. დავლიანიძე მუშაობის დროს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ახალგაზრდობის საქალაქო შეკრება

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ინიციატივით ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის 15 აპრილს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოეწყო ახალგაზრდობის საქალაქო შეკრება.

შეკრებაზე მოხსენება დიდი სტალინის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორმა ამხ. ქ. ანთიძემ.

მოგონებებით გამოვიდნენ ბელადის ბავშვობისა და ყრმობის მეგობრები ...

მზადება საკურორტო სეზონისათვის

...

კულტურის სახლი

...

ამიერკავკასიის რკინიგზაზე

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

საგზაო კომისიამ შეაჯამა გზის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების მარტის შედეგები, გამარჯვებულად სცნო და პირველი ადგილები მიაკუთ-

...

რაგების უბანს და კავშირგაბმულობის დისტანციას, შორაპნის სალიანდაგო დისტანციას, ვაგონსარემონტო პუნქტს და დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორას, ბათუმის სალიანდაგო დისტანციას და სამგზავრო სადგურს.

მეორე ადგილზე გამოვიდნენ:

მოძრაობისა და სართქლმავლო მეურნეობის თბილისის განყოფილებები, ერევნისა და ჰიათურის სადგურები,

...

მის სავაგონო დეპოები, სამშენებლო-სამონტაჟო დისტანცია, სამტრედიისა და ოჩამჩირის სალიანდაგო დისტანციები, დატვირთვა-გადმოტვირთვის თბილისის კანტორა და სოჭის სამგზავრო სადგური.

ტყვარჩელელ მეშახტეთა წარმატება

როგორც ვიუწყებოდით, 12 აპრილს ტყვარჩელში სტუმრად ჩამოსული მეშახტეები — მუააზიელ მეშახტეთა წარმომადგენლები, ჩავიდნენ სამუშაოდ ბერიას სახელობის შახტში და ერთ ცვლაში ქვანახშირის მონგრევის გეგმა 410 პროცენტით შეასრულეს.

14 აპრილს იმავე უბანზე მუშაობა დაიწყეს ბერიას სახელობის შახტის მოწინავე მეშახტეებმა ვ. მედვედევმა, ჩეპელომ, ულიანოვმა და პოსტაშევმა. მათ ქვანახშირის მონგრევის დღიური ნორმა 545,8 პროცენტით შეასრულეს, 24 ტონა ქვანახშირის ნაცვლად მოანგრიეს 131 ტონა, ანუ 30 ტონით მეტი, ვიდრე სტუმრებმა.

კ. მჭედლიშვილი

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

16 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობდა ჟ. ბიდო. მინისტრებმა განიხილეს ქვანახშირის დარგის ექსპერტთა კომიტეტის მოხსენება და გადავიდნენ ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის განხილვაზე.

ქვანახშირის დარგის ექსპერტთა კომიტეტის მოხსენების განხილვა

საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების თვალსაზრისები ჩამოყალიბებული იყო მინისტრების საბჭოს 15 აპრილის სხდომაზე.

ჟ. ბიდომ მაშინ სხდომას გაახსენა, რომ ოთხი მაოკუპირებელი სახელმწიფოს ექსპერტებმა მინისტრების საბჭოს ...

დება შეიტანა, რომ დაყენებულ იქნას ამოცანა — უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ქვანახშირის ამოღება გერმანიაში აყვანილ იქნას ომამდელ დონემდე. შემდეგ მან სხდომას გაახსენა, რომ ომამდე გერმანიის გაჰქონდა თავისი ქვანახშირის 12-15 პროცენტი ...

...

ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის განხილვა

...

რიგი სხვა მუხლები. **ამ მუხლების განხილვის მსვლელობაში მინისტრები მთელ რიგ ურთიერთ დათმობაზე წავიდნენ და კომპრომისულ გადაწყვეტილებებს მიაღწიეს.** მეხუთე მუხლის განხილვა, რომელიც ავსტრიის საზღვრებს ეხება, გადადებულია მანამდე, ვიდრე მოსმენილ იქნება იუგოსლავიისა და ავსტრიის წარმომადგენელთა განცხადებანი. მინისტრებმა გადადეს აგრეთვე ზოგიერთი სხვა მუხლის განხილვა. (ტასსი).

სპეციალური კომიტეტის სხდომა

15 აპრილს სპეციალური კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა როდლერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ... იქნა სარედაქციო კომიტეტის მოხსენება, სადაც მოყვანილია გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის საკითხებზე საკონტროლო საბჭოსათვის მისაცემი დირექტივების პროექტის განხილვის შედეგები.

სპეციალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა თავისი მოხსენება გადასცეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და ამით დაამთავრა მუშაობა. (ტასსი).

17 აპრილის დილის სხდომა

თავმჯდომარეობდა ე. ბევინი.

მინისტრების საბჭომ მოიწვია იუგოსლავიის დელეგატები და ავსტრიის დელეგატები ავსტრიის ხელშეკრულების საკითხებზე მათი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად. სიტყვა პირველებმა მიიღეს იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

ე. კარდელის განცხადება ავსტრიის ხელშეკრულების ტერიტორიულ საკითხებსა და პოლიტიკურ მუხლებზე

იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. კარდელმა განაცხადა:

— იუგოსლავია უშუალოდ, უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე მოკავშირე ქვეყანა, დაინტერესებულია ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების ... სამხედრო დაპყრობათა და ... „მშვიდობიანი" გერმანიზაციის ... ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწენი ... ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო ... შეეტანათ გერმანული სფერო იუგოსლავიის ეთნიკური ტერიტორიის გულში. შემთხვევითი როდია, რომ მეორე მსოფლიო ომის ... ჰიტლერმა ავსტრიას განსაკუთრებული ... დააკისრა იუგოსლავიის მიმართ და რომ ... ბალკანეთის დამორჩილების თავისი გეგმის ... საუკეთესო შემსრულებლები სწორედ ...

... იუგოსლავიიდან ავსტრიაში გაიტანეს მთელი ფაბრიკები და საამქროები, სამრეწველო ნედლეული, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, წაიყვანეს პირუტყვი.

როდესაც ჩვენ ეს ფაქტები მოგვყავს, — განაგრძო ე. კარდელმა, — ამას ავსტრიელი ხალხისადმი სიძულვილით როდი ვაკეთებთ. ჩვენ არა გვსურს მთელი ავსტრიის ხალხი გავაიგივოთ იმ ავსტრიელებთან, რომლებიც იუგოსლავიაში დანაშაულობას ჩადიოდნენ. მაგრამ ცხადია, რომ ომში მონაწილეობისათვის ავსტრიამ პასუხისმგებლობის თავისი წილი უნდა იკისროს.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ავსტრიასთან ზავის საკითხი არ შეიძლება გამოეყოს გერმანიასთან ზავის საკითხს, თუ მართლაც არსე- ...

...

ტური ან სხვა რაიმე ფაშისტური ორგანიზაციების შექმნა, გაითვალისწინოს ლონისძიებანი სახელმწიფო აპარატიდან ფაშისტი და ნაცისტი ნაბოლარების განსადევნად;

8) ხელშეკრულებამ ავსტრიის მოქალაქეებისათვის უნდა უზრუნველჰყოს ყველა დემოკრატიული უფლებით სარგებლობა.

ს. სიმიჩის განცხადება ავსტრიის ხელშეკრულების ეკონომიურ საკითხებზე

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სიმიჩი შეჩერდა ავსტრიისადმი იუგოსლავიის მიერ წაყენებულ ეკონომიურ მოთხოვნებზე. პირველ ადგილზე მან დააყენა მოთხოვნა ავსტრიის მიერ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ რეპარაციების გადახდის შესახებ. მიუხედავად იმ უდიდესი ზარალისა, რაც ავსტრიამ იუგოსლავიას მიაყენა გერმანიის მხარეზე უკანასკნელ ომში მონაწილეობით, იუგოსლავიის მთავრობამ ავსტრიისადმი თავისი სარეპარაციო მოთხოვნების ოდენობა მხოლოდ 150 მილიონი დოლარით განსაზღვრა. ეს თანხა გაცილებით მცირეა იმ ნამდვილი ზარალის შესაბამის თანხაზე, რაც ავსტრიამ იუგოსლავიას მიაყენა. ამ თანხის განსაზღვრისას იუგოსლავიის მთავრობა ცდილობდა, რომ სარეპარაციო გადასახდელებს არ დაებრკოლებინა ავსტრიის ეკონომიური აღდგენა.

ს. სიმიჩმა აღნიშნა, რომ იუგოსლავიის სარეპარაციო მოთხოვნების თანხა პროპორციულად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ რეპარაციების ოდენობა, რომლებიც გერმანიის ყოფილმა სატელიტებმა უნდა გადაიხადონ დადებულ საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე. კერძოდ, იუგოსლავიის დელეგატმა დაიმოწმა ბულგარეთის მაგალითი, რომლის პასუხისმგებლობა ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომში მონაწილეობისათვის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ავ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

(დასასრული)

სტრიის პასუხისმგებლობა. ამასთან ბულგარეთის საექსპორტო შესაძლებლობანი 6-7 ჯერ ნაკლებია ავსტრიის საექსპორტო შესაძლებლობაზე. მიუხედავად ამისა, ბულგარეთმა რეპარაციები უნდა გადაიხადოს 70 მილიონი დოლარის რაოდენობით. ამავე დროს ზოგიერთს სურს სულ გაათავისუფლოს ავსტრია სარეპარაციო ვალდებულებათაგან.

იუგოსლავია დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ დასადებმა ხელშეკრულებამ ავსტრიას დაავალოს მოკავშირე ქვეყნებში მის მიერ ...

ველი და სხვ. იუგოსლავიაში იმ ნაძარცვი ქონების ღირებულება, რომლის რესტიტუციაც ავსტრიას არ შეუძლია, შეფასებულია 7.954 მილიონ დინარად ან დაახლოებით 180 მილიონ დოლარად 1938 წლის კურსით.

ავსტრიამ უთუოდ უნდა დაუბრუნოს იუგოსლავიას მთელი სარკინიგზო პარკი და მის მიერ წაყვანილი სამდინარო ფლოტის მთელი შემადგენლობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა გზით მოხვდა ავსტრიაში ეს სატრანსპორტო საშუალებანი. ავსტრიას უნდა დაევალოს ...

17 აპრილის საღამოს სხდომა

შუმახერელთა კამპანია ბერლინის ობერბურგომისტრ ოსტროვსკის წინააღმდეგ

ბერლინი, 12 აპრილი. (ტასი). 11 აპრილს შესდგა ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების რიგგარეშე სხდომა, რომელიც მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოთხოვნით. ამ კრებაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატებმა მკაცრად გაალაშქრეს ბერლინის ობერბურგომისტრ დოქტორ ოსტროვსკის წინააღმდეგ, რომელიც ბერლინის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გამოჩენილი მოღვაწეა. ოსტროვსკისა და მის პარტიას შორის კონფლიქტის მიზეზი ...

... პირები. ამ განმარტებამ ჩაშალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის შუმახერული ხელმძღვანელობის გეგმები, ვინაიდან, ბერლინის კონსტიტუციის თანახმად, მაგისტრატის არცერთი ხელმძღვანელი თანამშრომელი არ შეიძლება დათხოვნილ იქნას მოკავშირეთა კომენდანტების უნებართვოდ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის შუმახერულ ხელმძღვანელობას კი განზრახული ჰქონდა დეპუტატთა საქალაქო კრების საშუალებით გაეტარებინა გადაწყვეტილება საქალაქო ...

ბელოვი, კობერიძე და კოტკასი — ევროპის ჩემპიონები

(ჭიდაობაში ევროპის პირველობის შედეგები)

დამთავრდა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე 1947 წელს ბერძნულ-რომაულ (ფრანგულ) ჭიდაობაში, რაც გაგრძელდა 11-დან 14 აპრილამდე.

ევროპის პირველ ომისშემდგომ ჩემპიონატში, რომელიც მოეწყო პრაღაში, უზარმაზარ დარბაზ „ლუცერნაში", მონაწილეობა მიიღეს თხუთმეტი ქვეყნის უძლიერესმა მოჭიდავეებმა. სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის და ევროპის სხვა ქვეყნების გუნდებთან ერთად შეჯიბ- ...

კამათი სენატში საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების" შესახებ

საბერძნეთის ჯარების ოპერაციები ბერძენ პარტიზანთა წინააღმდეგ

პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების რატიფიკაცია

თეატრები

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(პირველი წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვების ოცდამეცამეტე ტირაჟის შედეგები

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 5 მარტს ქალაქ მოსკოვში. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (პირველი წლის გამოშვება) ოცდამეცამეტე ტირაჟში მოგებანი ხვდათ სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 61 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
40016	44*)	500	50340	08*)	500
40029	42*)	500	50419	06*)	500
40658	02*)	500	50602	1—50	200
40886	05*)	500	50633	1—50	200
41091	47*)	500	51034	41*)	500
41344	1—50	200	51066	1—50	200
41360	40*)	500	51095	03*)	500
41401	27*)	500	51368	19*)	500
41417	1—50	200	51405	22*)	500
41814	45*)	500	51788	22*)	1,000
41995	43*)	500	51984	21*)	500
42072	12*)	500	52434	04*)	500
42313	46*)	500	52531	34*)	500
42369	44*)	500	52550	1—50	200
42451	09*)	500	52657	18*)	500
42538	13*)	500	52769	1—50	200
42569	31*)	500	53126	29*)	500
42744	12*)	500	53138	41*)	500
43751	1—50	150	53155	17*)	500
43753	1—50	150	53259	1—50	200
43844	40*)	500	53330	25*)	500
43971	17*)	500	53346	43*)	500
44009	41*)	500	53642	13*)	500
44017	20*)	500	53654	18*)	1,000
44073	46*)	500	53671	47*)	500
44237	1—50	200	53712	13*)	500
44243	1—50	200	53746	1—50	200
44338	36*)	500	53862	50*)	500
44406	47*)	500	53978	39*)	500
44482	29*)	500	54033	17*)	500
44521	25*)	500	54073	28*)	500
44662	1—50	200	54196	11*)	1,000
44667	16*)	500	54332	1—50	200
44711	1—50	200	54511	1—50	200
44738	04*)	500	54769	1—50	200
44848	32*)	500	54773	1—50	200
45046	1—50	200	55215	01*)	500
45049	1—50	200	55348	1—50	200
45166	1—50	150	55542	15*)	500
45391	39*)	500	55601	49*)	500
45464	1—50	200	55817	33*)	500
45570	30*)	500	55877	06*)	500
45768	09*)	500	56147	48*)	500
45953	33*)	500	56164	08*)	500
46066	1—50	200	56244	25*)	500
46068	33*)	500	56267	1—50	200
46112	19*)	500	56341	24*)	500
46214	27*)	500	56395	03*)	500
46885	35*)	500	56405	21*)	500
47029	11*)	500	56470	38*)	500
47109	1—50	200	56500	10*)	500
47170	1—50	200	56859	1—50	200
47248	19*)	500	57000	1—50	150
47313	14*)	500	57011	47*)	500
47453	05*)	500	57209	1—50	200
47721	41*)	1,000	57362	34*)	500
47723	1—50	200	57550	1—50	200
47737	09*)	500	57632	1—50	200
47859	10*)	500	57772	09*)	500
47909	1—50	150	57901	13*)	500
47942	1—50	200	57928	02*)	500
47968	05*)	500	57940	15*)	500
48074	1—50	200	58140	05*)	1,000
48090	28*)	3,000	58216	1—50	200
48287	03*)	500	58300	17*)	500
48718	16*)	500	58359	15*)	500
49168	50*)	500	58595	45*)	500
49225	19*)	500	58739	1—50	200
49252	20*)	500	59073	1—50	200
49253	1—50	200	59253	1—50	200
49368	17*)	500	59273	40*)	500
49507	21*)	500	59276	39*)	500
49629	1—50	150	59471	1—50	200
49870	21*)	500	59472	24*)	500
50086	22*)	500	59817	07*)	500

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
ა. ა. ლისკოვიჩი
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ა. პ. დუდაკოვი

ახალი წიგნი

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი